საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთისძირის განძი

მთისძირის განძი, ვერცხლის ქუფური (არაბული) მონეტების განძი. აღმოჩენილია სოფ. მთისძირში (ყვარლის მუნიციპ.), ე. წ. ციხისჯვრის დაბლობზე. 1952 აღმოჩნდა 300 ც. მონეტა, 1988 - განძის დანარჩენი ნაწილი. 697 მონეტა: სასანური დრაქმები, სხვადასხვა ზარაფხანაში (მ. შ. სამხრ. კავკასიაშიც) ომაიანი და აბასიანი ხალიფების სახელით მოჭრილი დირჰემები. განძის ქრონოლოგიური ჩარჩოა VII_IX სს. [სასანიანი ხოსრო II-იდან (590-628) არ-რაშიდის (786-809) და ამინის (809-813/814) სახელებით მოჭრილ მონეტებამდე]. განძი ჩაფლული უნდა იყოს 820 წ. შემდეგ. დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე , საქართველოს სამონეტო განძები, ტ. 1, თბ., 1976.

ი. ჯალაღანია